საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 212/01
12/01/2022

212-01-2-202201121747

შპს „საქართველოს მაცივარაგენტების შეგროვებისა და
რეციკლირების ცენტრის“ დირექტორს,
ბატონ სულხან სულაძეს
მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო თელეთი
ელ. ფოსტა: sulkhansuladze@gmail.com;
ladoliparteliani1991@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 15 დეკემბრის N22825 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო თელეთში მაცივარაგენტი ნარჩენების რეციკლირების და აღდგენის საწამოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში, დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესის შესახებ, კერძოდ მაცივარაგენტი ნარჩენების საწარმოში შეტანიდან მზა პროდუქციის მიღებამდე;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია (ს/კ 81.03.10.346) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით, კაპიტალური შენობა ნაგებობით, ტერიტორიაზე შეყვანილია ყველა საჭირო კომუნიკაციები.“ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების თანახმად, მათ შორის საჯარო რეესტრიდან საპროექტო ტერიტორიის (ს/კ 81.03.10.346) ამონაწერის საკადასტრო გეგმაზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება შენობა/ნაგებობები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო შენობა/ნაგებობების არსებობის ან/და მოწყობის შესახებ ინფორმაცია;

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიას მიენიჭა განახლებული საკადასტრო კოდი - 81.03.10.702. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მითითებული უნდა იქნას ტერიტორიის არსებული საკადასტრო კოდი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში დასამუშავებლად მისაღები ნარჩენების შესახებ, კერძოდ: ნარჩენის კოდი, დასახელება და რაოდენობა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად. ამასთან, მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია ნარჩენის აღდგენის ოპერაციის შესახებ;
- ამასთან, ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ნარჩენების დროებითი შენახვა შესაძლებელია 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ მაცივარაგენტების ნარჩენების, რომლებიც არ ექვემდებარება აღდგენას და გათვალისწინებულია მათი განთავსება, დროებითი შენახვა უნდა მოხდეს 1 წლის ვადით, ხოლო აღნიშნული საკითხი ასახულ იქნას სკრინინგის განცხადებაში;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.2 (ნარჩენების განთავსება) და ამავე დანართის 10.3 ქვეპუნქტებით (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა). ვინაიდან, დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსება ხდება დროებით, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შესაბამისი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე